ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№ 51

ქ. თბილისი; 1 ნოემბერი, 2019 წ. 11:30 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
თინათინ წიბლოშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ნინო რუხაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი - **სერგო ბირკაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი ს მოადგილე - **სალომე ღვინეფაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი ს მოადგილე - **თამარ მელიქიშვილი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მომსახურების განყოფილების ხელმძღვანელი - **მაია ნადირაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის სასამართლოსთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი - **თამარ ლაბარტყავა**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის 2019 წლის იანვარი -ივნისის (I-II კვარტალი) საქმიანობის ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარეს სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - **სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებს წარუდგინა, იურიდიული საქალაქო სამსახურის მიერ, 2019 წლის იანვარი -ივნისში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

ბატონი სერგო მიესალმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებს და მადლობა მოახსენა მოწვეულებს.

ბატონმა სერგომ მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს მხარდაჭერისათვის და აღნიშნა, რომ მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი, საკრებულოსა და მერიის კოორდინირებული მუშაობის შედეგია.

მოხსენებელმა დასაწყისისთვის კომისიის წევრებს წარუდგინა იურიდიული საქალაქო სამსახურის წარმომდგენლები, რომლებიც კურირებენ სხვადასხვა მიმართულებებს და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის სტრუქტურა წარმოდგენილია 5(ხუთი) ძირითადი მიმართულებით, მათ შორის:

- სამართლებრივი აქტების მომზადებისა და ექსპერტიზის განყოფილება;
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ეფექტური საჯარო მმართველობის მხარდაჭერის განყოფილება;
- თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მომსახურების განყოფილება;
- სასამართლოსთან ურთიერთობის განყოფილება;
- ადმინისტრაციული დავების განხილვისა და სამართლებრივი აქტების მომზადების განყოფილება;

❖ **ბატონმა სერგომ** დაწვრილებით ისაუბრა სამართლებრივი აქტების მომზადებისა და ექსპერტიზის განყოფილების მიერ ჩატარებულ სამუშაოზე და განაცხადა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობაზე განსახილველი ყველა პროექტის დოკუმენტალურ ექსპერტიზას ახორციელებს იურიდიული საქალაქო სამსახური. მისივე თქმით, 2019 წლის (იანვარი ივნისი) განმავლობაში მომზადდა ან/და ექსპერტიზა ჩაუტარდა დაახლოებით 1155-მდე სამართლებრივი აქტის (გარდა საკანონმდებლო აქტისა) პროექტს, მათ შორის:

- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 732-მდე განკარგულების პროექტს;
- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 348-მდე ბრძანების პროექტს;
- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების 55-მდე პროექტს;
- ✓ საქართველოს მთავრობის დადგენილების/განკარგულების 20-მდე პროექტს;

იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა ასევე ისაუბრა, 2019 წლის იანვარი -ივნისში განხორციელებულ მნიშვნელოვან პროექტებზე და განმარტა, რომ მაღალი კერძო და

საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, იურიდიული საქალაქო სამსახურის აქტიური ჩართულობით, განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული და ფუნქციური რეორგანიზაცია;
- ✓ მოქალაქეთათვის, მათ მიერ მრავალი წლის მანძილზე სარგებლობაში არსებული ბინების დაკანონების პროცესი;
- ✓ დედაქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის შემუშავება;

ბატონმა ბირკაძემ აღნიშნა, რომ იურიდიული საქალაქო სამსახურის ინიციატივით მომზადდა „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" შესატანი ცვლილებების პაკეტი, რომლის თანახმადაც, მოსწავლეების, სტუდენტებისა და ტურისტების გადაყვანა-დადგესილი მარშრუტის დარღვევით გასდება ადმინისტრაციული წესით დასჯადი. ბატონი სერგოს განმარტებით, აღხიშნული ცვლილებების განხორციელების შემდგომ, მოსწავლეების, სტუდენტებისა და ტურისტების გადაადგილების მარშრუტები სქემატურად შეთანხმებული იქნება ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან. ბატონმა სერგომ ისაუბრა აღნიშნული მარშრუტების მოწესრიგების მნიშვნელობაზე და წარმოდგენილი ინიციატივა განიხილა როგორც სატრანსპორტო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი.

მომხსენებელმა დაწვრილებით ისაუბრა იურიდიული საქალაქო სამსახურის ჩართულობაზე საკანონმდებლო პროცესში და განმარტა, რომ სამსახურის მიერ მომზადდა ან/და ექსპერტიზა ჩაუტარდა შემდეგ საკანონმდებლო/კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს:

- ➢ „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" ცვლილებები, რომელიც ეხება პარკირების წესების დარღვევისათვის ჯარიმების გადახედვის საკითხს, კერძოდ:
  - ✓ დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული მოთხოვნის დაუცველობა, ჯარიმა ხდება 50 ლარი;
  - ✓ პარკირების საფასურის გარეშე პარკირება, ჯარიმა იქნება 50 ლარი;
  - ✓ ტაქსისათვის განკუთვნილ ადგილზე სხვა მანქანის პარკირება, ჯარიმა იქნება 50 ლარი;
  - ✓ შშმ პირისათვის განკუთვნილ ადგილზე სხვა მანქანის პარკირება, ჯარიმა იქნება 50 ლარი;
  - ✓ პარკირების ადგილზე პარკირებული სატრანსპორტო საშუალების გამოყენება სამეწარმეო საქმიანობის მიზნით, ჯარიმა იქნება 200 ლარი;
  - ✓ სატვირთო ავტომობილის ან/და მისაბმელის დგომა სხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებისთვის განკუთვნილ პარკირების ადგილზე; ჯარიმა იქნება 500 ლარი;
  - ✓ პარკირების წესების დარღვევაზე საჯარიმო ქვითრების გამოქვეყნება მოხდება ოფიციალურ ვებგვერდზე. საჯარიმო ქვითარი ჩაბარებულად ჩაითვლება გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ პარკირების წესების დარღვევისათვის ჯარიმების გადახედვის საკითხი დღის წესრიგში დადგა მას შემდგომ, რაც თბილისში ამოქმედდა ზონალური საათობრივი პარკირების პროექტი. თავის მხრივ, ბატონმა სერგომ ისაუბრა, წარმოდგენილი პაკეტით გათვალისწინებული საკანონმდებლო ინიციატივის მნიშვნელობაზე, რომელიც ითვალისწინებს, თბილისში პარკირების წესების დარღვევაზე ახალი ჯარიმების დაწესებას. ბატონმა სერგომ განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი, მოხდება პარკირების ადგილზე პარკირებული სატრანსპორტო საშუალების გამოყენება სამეწარმეო საქმიანობის მიზნით, ჯარიმა იქნება **200 ლარი.**

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ კანონში" ცვლილებაზე, რომლის მიხედვითაც თბილისის სსიპ - ქონების მართვის სამსახური თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადასახადისაგან **მუნიციპალიტეტის ქონებასთან დაკავშირებულ დავებზე.**

სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ იურიდიული საქალაქო სამსახურის მიერ პარლამენტში გაგზავნილია და ინიცირებულია მნიშვნელოვანი საკანონმდებლო პაკეტი, მშენებლობების ამნისტიასთან დაკავშირებით. აღნიშნული ითვალისწინებს, გარკვეული კატეგორიის მშენებლობადამთავრებული საცხოვრებელი სახლების ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებულ შესაბამის შეღავათებს. კერძოდ:

- „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში" ცვლილება, რომლის თანახმადაც იკრძალება ელექტროენერგიის განაწილების, ბუნებრივი გაზის განაწილების ან წყალმომარაგების ლიცენზიატის მიერ ექსპლუატაციაში მიუღებელი სამშენებლო ობიექტის მიერთება კომუნალურ ქსელებზე. ასევე განისაზღვრება სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს უფლებამოსილება განახორციელოს იმ მშენებლობადამთავრებული საცხოვრებელი ფუნქციის მქონე მრავალბინიანი ან/და მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღება, რომლებზეც გაცემულია მშენებლობის ნებართვა 2019 წლის 15 მაისის მდგომარეობით და ამ ნებართვას გასული აქვს მოქმედების ვადა, თუ მშენებლობა ნაწარმოებია შენობა-ნაგებობის, მზიდი კონსტრუქციების ან ექსტერიერის რეკონსტრუქციით ან განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ცვლილებით;

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა სისხლის სამართლის კოდექსში შესატან ცვლილებაზე, რომლის მიხედვით, გარკვეული სამშენებლო სამართალდარღვევებისათვის წესდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა ისაუბრა, საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებაში ცვლილებაზე, რომლის მიხედვითაც, აკრძალულია სამშენებლო დოკუმენტის იმგვარი ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს შეთანხმებულ ობიექტზე ობიექტის განაშენიანების ფართობის ცვლილებას 20%-ზე მეტად ან ამ ობიექტის ფუნქციის ცვლილებას. ასეთ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის აღების პროცედურა დაწყებულ უნდა იქნეს თავიდან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა ყურადღება გაამახვილა სამსახურის მიერ განხორციელებულ სხვა საქმიანობაზეც.

ბატონი სერგოს თქმით, პროექტი - „შენი იდეა ქალაქის მერს“ არის, მერიის საქმიანობაში თბილისში რეგისტრირებული მოსახლეობის ჩართულობისა და ქალაქისთვის მნიშვნელოვანი საკითხებზე ინიციატივების ონლაინ წარდგენის მექანიზმი, რომელიც საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, მონაწილეობა მიიღონ ქალაქის განვითარებაში. ბატონი სერგოს თქმით, აღნიშნულ პროგრამას კურირებს თავისი სამსახური, რომელიც ორგანიზებას უწევს შემოსული განცხადებების რეგისტრაციას და პროგრამის შემდგომი განხორციელებისათვის შესაბამისი პროცედურების წარმართვას.

ბატონმა სერგომ ასევე ისაუბრა, პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის შესახებ და გაწმარტა, რომ კომისიას თავმჯდომარეობს თავისი მოადგილე. კომისია ადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების ან/და კონკრეტულ დღეს ყოფნის ფაქტს და გასცემს შესაბამის ცნობას. კომისიამ საანგარიშო პერიოდში გაწიხილა, როგორც სსიპ - სახელმწიფო სერვისებიდან გადმოგზავნილი, ასევე დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე შემოსული 72 განცხადება და მიიღო 42 დადებითი გადაწყვეტილება. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კომისიის 9 (ცხრა) სხდომა.

❖ მომხსენებელმა ისაუბრა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ეფექტური საჯარო მმართველობის მხარდაჭერის განყოფილების მიერ შესრულებულ სამუშაოზე და განაცხადა, რომ ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოსთვის, მათ შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის, ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა იყოს მაქსიმალურად უზრუნველყოფილი და საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.

მომხსენებლის თქმით, იურიდიულ საქალაქო სამსახურში მოთხოვნილი ინფორმაციის კატეგორიებია:

- სამართლებრივი აქტები (მთავრობის განკარგულებები, მერის ბრძანებები);
- შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები;
- შესყიდვები;
- ჯანდაცვა;
- ფინანსები
- არქივი

როგორც ბატონმა სერგომ განაცხადა, საანგარიშო პერიოდში, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, იურიდიულ საქალაქო სამსახურში შემოსულია - 1371 განცხადება. მათ შორის: სრულყოფილად დაკმაყოფილებულია - 890 განცხადება, ხოლო, ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია - 3 განცხადება. მისივე თქმით, მოთხოვნილი ინფორმაციის მოცულობისა და შინაარსის სპეციფიკიდან გამომდინარე, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსულ განცხადებებზე ვადის გადაცილებასთან დაკავშირებით დაფიქსირდა მხოლოდ 2 (ორი) შემთხვევა, რაც გამოიწვია სამსახურისაგან დამოუკიდებელმა გარემოებებმა.

❖ მომხსენებელმა დაწვრილებით ისაუბრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ შესრულებულ სამუშაოზე და განმარტა, რომ 2019 წელს, კომისიის მომსახურების განყოფილების მიერ, კომისიის ეფექტურად მუშაობის უზრუნველსაყოფად განხორციელდა მნიშვნელოვანი ორგანიზაციული ღონისძიებები. მათ შორის, გაიზარდა საშტატო ერთეულები. მომხსენებელმა იქვე აღნიშნა, რომ გატარებული ღონისძიებების შედეგად, კომისიის სხდომების პარალელურად მიმდინარეობს ოქმების შედგენა, განკარგულებებისა და საკუთრების უფლების მოწმობების გაცემა ასევე, აღმოფხვრილია ხარვეზები სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების კუთხით.

მომხსენებლის თქმით, 2019 წელს, თბილისის მერიის საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში სულ შემოსულია 3126 განცხადება, მათ შორის: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილობითი მომართვით გადმოგზავნილია - 2806 განცხადება, ხოლო, საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში შემოსულია - 320 განცხადება.

ბატონი სერგოს თქმით, კომისიის სხდომები საშუალოდ იმართება კვირაში ორჯერ. კომისიის სხდომის დღის წესრიგი გახდა დეტალური და სისტემატიზირებული და დღეის მდგომარეობით კომისიის სხდომაზე საშუალოდ ხორციელდება 80 საკითხის განხილვა. ასევე, შეიქმნა და დაიხვეწა კომისიის სხდომის ოქმის შაბლონი, მომზადდა და გამოიცა დაგროვებული ოქმები და განკარგულებები და შემცირდა ახალი ოქმებისა და განკარგულებების მომზადების დრო. მისივე თქმით, 2019 წელს, პირველ ექვს თვეში ჩატარდა 31 კომისიის სხდომა და განხილულ იქნა 2754 განცხადება. კომისიის მიერ გამოიცა 1582 გადაწყვეტილება, განკარგულების სახით.

სერგო ბირკაძემ ისაუბრა, საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მომსახურების განყოფილების მიერ გატარებულ ღონისძიებებზე და განმარტა, რომ განყოფილების მიერ განხორციელდა 2016-2019 წლებში დაგროვებული კორესპონდენციის ინვენტარიზაცია და სისტემატიზაცია, რის შედეგად ჩამოიწერა 5775 განცხადება, მათ შორის დუბლირებული განცხადებები.

❖ რაც შეეხება, სასამართლოსთან ურთიერთობის მიმართულებას, მომხსენებლის თქმით, 2019 წელს (იანვარი-ივნისი) განყოფილებაში შემოსული საქმეების რაოდენობაა - 358. მათ შორის ჭარბობს, არქიტექტურის სამსახურის, მუნიციპალური ინსპექციის და აღიარების კომისიის მიმართ შემოსული საქმეები. ბატონი სერგოს განმარტებით, 2019 წელს (იანვარი-ივნისი) აღიარების კომისიასთან მიმართებაში შემოსულია 111 საქმე.

მომხსენებელმა, იქვე დასძინა, რომ იქედან გამომდინარე, რომ არქიტექტურის სამსახურს გამოეყო ურბანული სამსახური და ჩამოყალიბდა ცალკე სტრუქტურად, აღნიშნული მიმართულებით იმატა სარჩელების რაოდენობამ და ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის გადაწყვეტილებებთან მიმართებაში, სასამართლოსთან ურთიერთობის განყოფილებაში განხილულია 24 საქმე.

სერგო ბირკაძემ იქვე დასძინა, რომ დღეის მდგომარეობით სასამართლოსთან ურთიერთობის განყოფილების წარმოებაშია 1 800 საქმე, ხოლო, 2019 წელს (იანვარი-ივნისი) სამსახურის მონაწილეობით ჩატარებულია 1628 სასამართლო სხდომა.

დასასრულს, **ბატონმა სერგომ** აღნიშნა, რომ 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ, იურიდიული საქალაქო სამსახურის აქტიური ჩართულობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელდა სტრუქტურული და ფუნქციური რეორგანიზაცია, რამაც გამოიწვია 100-ზე მეტი საშტატო ერთეულის შემცირება. ამასთან, ჩატარებულ იქნა კონკურსი, მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში არსებულ ვაკანტურ პოზიციებთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათასმა აპლიკანტმა. ბატონი სერგოს თქმით, რეორგანიზაციისა და კონკურსების ფარგლებში დაფიქსირდა მხოლოდ ერთი სასამართლო დავა, რომელიც პირველი ინსტანციაში, ქ. თბილისის მერიამ მოიგო.

❖ **იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა,** ადმინისტრაციული დავების განხილვისა და სამართლებრივი აქტების მომზადების გაწყოფილებაში შემოსული საჩივრების მზარდ რაოდენობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ განყოფილებაში დაგროვილი იყო 2017 წელს შემოსული საჩივრები, რომელსაც ასევე დაემატა მიმდინარე საჩივრები. მისივე თქმით, 2018 წელს განყოფილებაში შემოსული ადმინისტრაციული საჩივრების რაოდენობა იყო - 1269, ხოლო გამოცემული იყო 704 ბრძანება, აღნიშნულ მონაცემებს დაემატა, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში შემოსული 840 ადმინისტრაციული საჩივარი, იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის 199 წერილობითი პასუხი და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის 862 ბრძანება. ამათგან: საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე - 94, ხოლო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე - 566.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციულ საჩივრებს შორის ჭარბობს, არქიტექტურის სამსახურისა და მუნიციპალური ინსპექციის მიმართ შემოსული საჩივრები. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა გამგეობიდან შემოსული საჩივრების საკითხს.

ბატონმა ბირკაძემ ასევე განმარტა, რომ განყოფილებაში გაზრდილია შტატების რაოდენობა და აღნიშნული კუთხით მიმდინარეობს თავდაუზოგავი მუშაობა.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი - **ნინო რუხაძე** დაინტერესდა, **„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის IDFI“** მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, როგორია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი თბილისის მერიაში.

ბატონმა სერგომ განმარტა, რომ აღნიშნული კვლევების მიხედვით, მერიის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესებულია.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა - **თინათინ ნიბლოშვილმა** თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ გაწეულ მასშტაბურ სამუშაოს გაუსვა ხაზი. ქალბატონი თინათინის განმარტებით, იმისთვის, რომ ადამიანებს არ გაუჩნდეთ ფუჭი მოლოდინები, უმჯობესი

იქნება, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოდან კომისიაში აღარ გადმოიგზავნოს განცხადებები ცარიელ მიწებთან დაკავშირებით.

როგორც **ბატონმა სერგომ** განმარტა, სააგენტოს მხრიდან, ცარიელ მიწებთან დაკავშირებით გადმოგზავნილი განცხადებების რაოდენობამ წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად იკლო, რაც დადებითად აისახა კომისიაში შესული განცხადებების სტატისტიკურ მაჩვენებლზე.

ფრაქციის „ეროიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრი - **ლილე ლიპარტელიანი** დაინტერესდა, გამგეობიდან შემოსული საჩივრების თაობაზე.

როგორც **სერგო ბირკაძემ** განმარტა, გამგეობიდან შემოსული ადმინისტარციული საჩივრების უმეტესობა ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებულ დავებს წარმოადგენს.

ქალბატონი ლილე ასევე დაინტერესდა, მორიგებით დასრულებული დავების თაობაზე.

ბატონმა ბირკაძემ განმარტა, რომ მერიის იურიდიულ განყოფილებაში მორიგებით დასრულებულია 5(ხუთი) დავა

ლილე ლიპარტელიანმა, ასევე შეკითხვა დასვა რეორგანიზაციის შედეგად განთავისუფლებულ პირთან რაოდენობასა დაკავშირებით და ასევე დაინტერესდა მოხდა თუ არა მერიის მხრიდან მათთვის სხვა თანამდებობების შეთავაზება.

სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ დაახლოებით 100-ზე მეტი პირი/შტატი განთავისუფლდა, ნაწილისთვის მათი კვალიფიკაციის შესაბამისი თანამდებობების შეთავაზება მოხდა.

კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა მადლობა გადაუხდა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსსა და იურიდიული სამსახურის წარმომადგენლებს მობრძანებისთვის და 2019 წელს (იანვარი-ივნისი) გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენისათვის. კომისიის თავმჯდომარემ წარმატება უსურვა მათ მომავალ საქმიანობაში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ლევან ჟორჟოლიანი**

სხდომის მდივანი **ნინო ჯალაღანია**